- **მეტი ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში:** იმერეთის მხარის 12–ვე

მუნიციპალიტეტში ჩატარდა 12 ფოკუს ჯგუფის ინტერვიუ, რომელსაც დაესწრნენ სხვადასხვა ასაკისა და სტატუსის ქალები. შეიქმნა იმერეთის მხარის თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით ქალი ამომრჩევლების მიერ დასახელებული პრობლემების დოკუმენტი, სადაც ასევე შემუშავებული იქნა კონკრეტული რეკომენდაციები მუნიციპალიტეტების მიხედვით გენდერული თანასწორობის პოლიტიკის კუთხით. მოხდა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების გადამზადება და იდენტიფიცირებული საჭიროებების წარდგენა. გაიმართა რეგიონული კონფერენცია - მეტი „ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ იმერეთის მხარეში, რომლის მიზანი იყო, იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდება ქალთა საჭიროებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული პოლიტიკის პრინციპების შესახებ.

- **მოქალაქეთა ინიციატივა ანგარიშვალდებული თვითმმართველობისათვის:**

ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში გამოიკითხა ფოკუს-ჯგუფები; ჩატარდა მასშტაბური მოქალაქეთა ფორუმი; შეიქმნა საჭიროებების დოკუმენტი,რომელიც წარედგინა მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის წარმომადგენლებს; შეიქმნა საინიციატივო საბჭოები; გაიმართა შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატში და ეთერში გავიდა ორი სატელევიზიო გადაცემა, მუნიციპალიტეტების მერების მონაწილეობით.

- **შშმ პირთა პოლიტიკური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება:** შშმ

პირების პოლიტიკური და საარჩევნო უფლებების რეალიზების შესწავლის ფარგლებში ქვე-გრანტიორი ორგანიზაციის (ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო) მიერ, შეთანხმებული განრიგის და მეთოდოლოგიის მიხედვით დაიგეგმა და განხორციელდა კვლევითი საქმიანობა. შეიქმნა მკვლევარის მიერ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდა კვლევითი საქმიანობა.

- **იმერეთის მხარეში ევროკავშირთან ასოცირების პროცესის შესახებ**

**საზოგადოებაში ინფორმირებულობის გაზრდა:** განხორციელდა საინფორმაციო

შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, მოსახლეობასთან, ადგილობრივ ახალგაზრდებთან, სამოქალაქო საზოგადოების და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში ჩატარდა ქუჩის კამპანია- „რეგიონის განვითარება ნიშნავს....!".კამპანიის ფარგლებში მომზადდა ვიდეომასალა, რომელიც გავრცელდა ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე- www.ldageorgia.geდა სოციალურ ქსელში- Facebook; Youtube. კამპანიის ფარგლებში ასევე დაიბეჭდა პოსტერები, რომლებიც ასახავს ასოცირების შესახებ შეთანხმების 21-ე თავით გათვალისწინებულ ცვლილებებს, საქართველოს რეგიონალური განვითარების პროგრამას, იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიას და ა.შ. მომზადდა მოკლე ვიდეოები, რომელიც ასახავს მოსახლეობის მოსაზრებებს რეგიონის განვითარებასთან დაკავშირებით.

- **თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების თაობაზე,** საზოგადოების

ინფორმირებულობა: განხორციელდა საქართველოში DCFTA-ს პროცესის მხარდაჭერა და მოსახლეობის უკეთ ინფორმირების ხელშეწყობა.